ხელშეკრულება №09/045
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2018 წლის 10 სექტემბერი ქ. თბილისი

ერთის მხრივ, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (მის: ქ. თბილისი,ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქეთევან ლაკირბაიას სახით (შემდგომში წოდებული ,,შემსყიდველად") და მეორეს მხრივ "შპს კომპანია ბლექ სი გრუპი" (მისამართი:გურჯაანის რაიონი,სოფელი ბაკურციხე) მისი დირექტორის ამირან მამუჭაძის სახით (შემდგომში წოდებული ,,მიმწოდებლად") "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი გაუწევს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების პუნქტი 1.2-ში მითითებულ მომსა-ხურებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი იღებს აღნიშნულ მომსახ-ურებას და ვალდებულია დროულად, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადაიხადოს მისი საფასური.
1.2. მომსახურების გაწევა ხდება შემდეგი მიმართულებით:
1.2.1. სარესტორნო მომსახურება -25 ადამიანზე 12/09/2018. 17:30 საათზე.(CPV: 55300000).

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

2.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

3. მომსახურების გაწევის წესი და ადგილი

3.1. ხელშეკრულებით გათვალსიწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია, სოფელი ბაკურციხე.დავით სარაჯიშვილის სახლ-მუზეუმის რესტორანი „მაროშენი".
3.2. მომსახურების გაწევა ხდება ერთიანად ამ ხელშეკრულების 1.2.1 პუნქტის შესაბამისად.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებლის ვალდებულებები:
4.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მი-თითებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება.
4.1.2. მიმწოდებლის ვალდებულება მომსახურების გაწევაზე ითვლება შესრულებულად გაწეუ-ლი მომსახურების შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტთან შესაბამისობის შემოწმებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეს-რულებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყველა შესაბამისი დოკუმენ-ტი;
4.1.3. თუკი, ხელშეკრულების 1.2. პუნქტით გათვალისიწნებული მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკ-ლი ან შეცვალოს იგი სხვა მომსახურებით საკუთარი ხარჯით.
4.2. შემსყიდველის ვალდებულებები:
4.2.1. შემსყიდველი ვალდებულია მომსახურების სრულყოფილად გაწევის შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
4.2.2. მომსახურების გაწევის შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია შეამოწმოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისობა ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტით შეთანხმებულ მომსახურებას-თან.
4.2.3. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირ-ებულება მისი, ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით, მომსახურების გაწევიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. ფასი და ანგარიშსწორების წესი

5.1. მომსახურების საერთო, საორიენტაციო ღირებულებაა არაუმეტეს 1700,00 (ერთი ათას შვიდასი) ლარისა. აღნიშნული ღირებულება მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.
5.2. ანგარიშსწორება ხდება მომსახურების გაწევიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
5.3. მომსახურების საფასურის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიღება-ჩაბარების აქტსა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში დაფიქსირებული თანხის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშ-ეკრულების პირობების შესრულებაზე.

6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების კონტროლის და ზედამხ-ედველობის განხორციელება ევალება შესყიდვების სამსახურის მთავარ სპეციალისტს ზურაბ ზედანიას.

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

7.2. შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც შემსყიდველის მიერ უფლებამო-სილი პირები ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას.

7.3. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა, შემსყიდველის მხრიდან განესაზღვროს შესყიდვების სამსახურის მთავარ სპეციალისტს ზურაბ ზედანიას და ასოცირებული პროფესორს მურმან მარგველაშვილს.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშ-ვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელ-ია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნა-კლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმ-წოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისიწნებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდ-ებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული რომელიმე ვა-ლდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდე-ბელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულებით გათვალისიწნებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვ-ანი შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა.

9.2 ხელშეკრულებით გათვალისიწნებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრება შეუსრულებელი ვალდებულების 0,01%-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3 შემსყიდველს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუ-სრულებლობით, არაჯეროვანი შესრულებით ან ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისიწნებული ვალ-დებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლი-სთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი

11.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ.

11.2. ამ ხელშეკრულების 11.1. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შეძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

11.3. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

11.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ფასის გაზრდას ან შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა ამ ხელშეკრულების 11.1, 11.2. და 11.3. პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

12.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისიწნებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13.2 იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭ-რება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

15. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ორი რჩ-ება შემსყიდველს, ერთი – შემსრულებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი 0179,ჩოლოყაშვილის №3/5
საიდენტიფიკაციო კოდი: 204861970
სახელმწიფო ხაზინა
შოთა რუსთაველის გრანტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:
ქეთევან ლაკირბაია

მიმწოდებელი:
შპს„კომპანია ბლექ სი გრუპი“
მის: თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზ., #71,
ბლოკი 8, ოფისი 16
საიდენტიფიკაციო კოდი: 204477734
სს თიბისი ბანკი
ბ/კ: TBCBGE22
ა/ა: GE03TB7071136050100011

დირექტორი

ამირან მამულაძე

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ *(სარესტორნო მომსახურება)* შესყიდვის მიზნით სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს„კომპანია ბლექ სი გრუპი““ შორის გაფორმებული №09/045 ხელშეკრულების ინსპექტირებაზე უფლებამოსილი პირისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განაცხადი

ქ. თბილისი 2018 წლის **10 სექტემბერი**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი:

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყი-დვების შესახებ" მე-8 მუხლს – „ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" – და ხელმო-წერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა სსიპ–ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ *(სარესტორნო მომსახურება)* შესყიდვის მიზნით გაფორმებულ **№09/045** ხელშეკრულებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ზურაბ ზედანია

ადმინისტრაციის
ხელმძღვანელი:
ქეთევან ლაკირბაია